გამოქვეყნდა: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
ვებგვერდი, 27/03/2019

საქართველოს ფინანსურის მონიტორინგის სამსახურის უფროსის

ბრძანება №4

2019 წლის 25 მარტი

ქ. თბილისი

„ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №2 დანართში, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, №408 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების №1 დანართში მოცემული რედაქციით.
2. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №3 დანართში, სადაც მოცემულია იმ იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან, დაემატოს ამ ბრძანების N2 დანართში მოცემული მონაცემი.
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვ. ხასაშვილი

ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან

დანართი 1

№	პირადი ინფორმაცია (სახელი(ები), დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება/ მოქალაქეობა)	ფსევდონიმი(ები, ზედმეტი სახელი(ები)	პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი	მისამართი (ები), შესაძლო ადგილსამყო-ფელი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
1	2	3	4	5	6	7
408	***სახელები:*** 1. ჰამზა (HAMZA) 2. უსამა (USAMA) 3. მუჰამმად (MUHAMMAD) 4. ბინ ლადენ (BIN LADEN) ***დაბადების თარიღი:*** 09.05.1989 ***დაბადების ადგილი:*** ჯედა, საუდის არაბეთი		***პასპორტის მონაცემები:*** ***პირადი ნომერი:***		**28.02.19** **(13.03.19)**	უსამა ბინ ლადენის შვილი (გარდაცვლილი). აიმან მუჰამედ რაბი ალ-ზავაჰირის მიერ (ფიზიკურ პირთა სიაში 78-ე), გამოცხადდა, როგორც ალ-ქაიდას წევრი. (იურიდიულ პირთა სიაში 83-ე). მოუწოდებდა ალ-ქაიდას მიმდევრებს ტერორისტული

						აქტების ჩატარებაზე. ივარაუდება, ალ ზავაჰირის ყველაზე შესაძლო შემცვლელად. ინტერპოლის უშიშროების საბჭოს სპეციალური განცხადების მისამართი: https://www.interpol.int/en/notice/search/un/xxxx.

დანართი 2

იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან

N	ორგანიზაციის დასახელება	დასახელების სხვა ვარიანტები	მისამართი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
159	TARIQ GIDAR GROUP (TGG)	ა) TEHRIK-E-TALIBAN-TARIQ GIDAR GROUP ბ) TTP-	ავღანეთი/ პაკისტანის სასაზღვრო ტერიტორია	**22.03.19**	Tehrik-e Taliban Pakistan (TTP) - ის (იურიდიულ პირთა სიაში 130-ე) ნაწილი ჯგუფი. ჯგუფი ჩამოყალიბდა პაკისტანში, 2007 წელს Darra Adam Khel-ში, რომელიც ფედერალურად ადმინისტრირებული ტომობრივი არეალია (Federally Administered Tribal Area (FATA)) . ინტერპოლის უშიშროების საბჭოს სპეციალური

		TARIQ GIDAR GROUP გ) TEHREEK-I-TALIBAN PAKISTAN GEEDAR GROUP დ) TTP GEEDAR GROUP ე) TARIQ GEEDAR GROUP ვ) COMMANDER TARIQ AFRIDI GROUP ზ) TARIQ AFRIDI GROUP თ) TARIQ GIDAR AFRIDI GROUP ი) THE ASIAN TIGERS			განცხადების ვებ ლინკი: www.interpol.int/en/notice/search/une/xxxx.